ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – დ. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.03.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 026/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. ნ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 31 მარტს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ლ.-მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატ პ. ნ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ბიძაშვილი დ. ფ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. საქმის წარმოების წინასასამართლო სხდომის ეტაპიდან საჩივრის ავტორმა ბრალდებული დ. ფ.-ის ინტერესების დასაცავად საქმეში ჩაერთო ადვოკატი პ. ნ., რომელთანაც გაფორმდა საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა საქმის წარმოების ყველა სტადიაზე. ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მიიღო 2000 (ორი ათასი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის სექტემბრის თვეში ადვოკატი პ. ნ. წინასასამართლო სხდომის შემდეგ, მოულოდნელად გაუჩინარდა, რის შემდეგაც მასთან დაკავშირება ვეღარ ხერხდებოდა. საჩივრის ავტორმა ადვოკატის ოჯახის წევრებისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ადვოკატი წასული იყო რუსეთში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს, ასევე ადვოკატი არ გამოცხადდა 2014 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე, რის გამოც სასამართლო იძულებული გახდა ბრალდებულისთვის დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ერთ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, ადვოკატი პ. ნ. გამოჩნდა და შეხვედრისას ბოდიში მოუხადა საჩივრის ავტორს, ასევე განაცხადა, რომ მას დაუბრუნებდა 1000 (ათას) ლარს, თუმცა მას შემდეგ თვეები გავიდა და ადვოკატს აღნიშნული თანხა არ დაუბრუნებია.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა პ. ნ.-მ მისგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიიღო 2000 (ორი ათასი) ლარი, მაგრამ მომსახურება სრულად არ გაუწევია.

2. მოწმის პოზიცია:

2.1 დ. მ.-მ 2018 წლის 22 მაისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, პირდაპირი ჩართვით, ზეპირი სახით წარმოადგინა ახსნა-განმარტაება საჩივართან დაკავშირებით. დ. მ.-ს განცხადებით, იგი კარგად იცნობს დ. ლ.-ს და იცნობს ადვოკატ პ. ნ.-ს. მოწმის განმარტებით, ადვოკატს უნდა დაეცვა დ. ლ.-ს ბიძაშვილის დ. ფ.-ის ინტერესები სასამართლოში, რისთვისაც პ. ნ.-მ დ. ლ.-სგან ჰონორარის სახით მიიღო 2000 (ორი ათასი) ლარი.

2.2 მოწმის განმარტებით, როდესაც დ. ფ.-ის საქმეზე სასამართლო პროცესი უნდა შემდგარიყო, ადვოკატი პ. ნ. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა და მას ვეღარ დაუკავშირდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ადვოკატი რუსეთში გაემგზავრა. მოწმის განმარტებით, მან და დ. ლ.-მ სასამართლო სხდომაზე შეიტყვეს, რომ ადვოკატი პ. ნ. არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე. მოწმის განმარტებით, სასამართლო პროცესი გადაიდო იმის გამო, რომ სახაზინო წესით დანიშნულმა ადვოკატმა მოითხოვა პროცესის გადადება მასალების გაცნობის მიზნით.

2.3 მოწმის განცხადებით, როდესაც ადვოკატი პ. ნ. დაბრუნდა საქართველოში, დ. მ. შეხვდა მას დ. ლ.-სთან ერთად. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის თანხის დაბრუნება მოსთხოვა. მოწმის განმარტებით, ადვოკატი შეპირდა, რომ მიღებული თანხის ნახევარს დაუბრუნებდა, თუმცა ამის შემდეგ ადვოკატი საჩივრის ავტორს ემალება და თანხას არ უბრუნებს.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა პ. ნ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 28 აპრილს. 2017 წლის 22 ივნისს ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ზეპირი სახით წარმოადგინა თავისი პოზიცია. ადვოკატის განმარტებით, 2014 წლის აპრილის ბოლოს მას დაუკავშირდა დ. ლ. და უთხრა, რომ მისი ქვისლი დ. ფ. დაპატიმრებული იყო პოლიციის ბათუმის საქალაქო სამმართველოს მიერ და წარდგენილი ჰქონდა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე და 141-ე მუხლებით. დ. ლ.-მ სთხოვა ადვოკატს ჩართულიყო დ. ფ.-ის სისხლის სამართლის საქმეში მისი უფლებების დამცველად. 2014 წლის 1 მაისს ადვოკატმა დ. ლ.-სთან გააფორმა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ,

რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვებოდა წინასწარ გამოძიებაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვაში.

3.2 ადვოკატის განმარტებით, იგი გაეცნო საქმის მასალებს და შეხვდა ბრალდებულს. შემდეგ ადვოკატი შეხვდა დ. ლ.-ს და განუმარტა, რომ საქმეში არსებობდა მტკიცებულებები, რომელთა გაბათილებაც სასამართლოში შესაძლოა ვერ მომხდარიყო, აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით შესაძლებელი იყო საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარიყო. ეს იყო ადვოკატის პოზიცია და მან დ. ლ.-ს შესთავაზა, რომ თუ მას სურვილი ჰქონდა ადვოკატი ჩამოსცილდებოდა საქმეს და დაუბრუნებდა მიღებულ თანხას. დ. ლ.-მ ადვოკატს უთხრა, რომ მას ენდობოდა და სთხოვა გაეგრძელებინა ბრალდებულის უფლებების დაცვა. ამის შემდეგ, ადვოკატმა დ. ლ.-ს უთხრა, რომ ბრალდებულის ნახვის შემდეგ მის ფსიქიკურ მდგომარეობაში შეეპარა ეჭვი და შეიძლებოდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა. იმ შემთხვევაში, თუკი დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი და ამავე დროს დადგინდებოდა ბრალდებულის ავადმყოფობა, მას მოათავსებდნენ სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში. ადვოკატის განმარტებით, დ. ლ. დათანხმდა ექსპერტიზის ჩატარებას. 2014 წლის 13 მაისს ადვოკატმა მიმართა ბათუმის რაიონულ პროკურორს, მაგრამ ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარდა ჯერ ამბულატორიული, ხოლო შემდეგ სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად ბრალდებული დაავადებული იყო ფსიქიკური დაავადებით. ადვოკატის განცხადებით, ექსპერტიზის ღირებულება დაფარა დ. ლ.-მ.

3.3 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ადვოკატი საქმეში ჩაერთო წინასასამართლო სხდომიდან და არა წინასწარი გამოძიების ეტაპიდან და თითქოს ადვოკატი წინასასამართლო სხდომიდან გაუჩინარდა და არ მიუღია მონაწილეობა საქმის არსებით განხილვაში.

3.4 ადვოკატის განმარტებით, 2014 წლის ოქტომბერში მას დროებით უნდა დაეტოვებინა საქართველო. ამის შესახებ ადვოკატმა აცნობა დ. ლ.-ს და დაინტერესდა მისი პოზიციით. ადვოკატმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და აცნობა, რომ 2014 წლის 13 ოქტომბერს ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე და ითხოვა, რომ სხდომა სხვა დროისთვის გადადებულიყო. ამის შემდეგ, საქმეში ჩაერთო საზოგადოებრივი ადვოკატი ნ. გ.. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა აღნიშნა, რომ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დ. ფ.-ს დაენიშნა სავალდებულო წესით ადვოკატი ნ. გ.. ადვოკატი პ. ნ. დ. ლ.-ს ადვოკატ ნ. გ.-სთან ერთად შეხვდა სასამართლოს ტერიტორიაზე. დ. ლ.-მ ჰკითხა ადვოკატ პ. ნ.-ს: საქმის წარმოებაში პ. ნ. იქნებოდა თუ სხვა ადვოკატი, ამით საქმის შედეგი თუ შეიცვლებოდა, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ შედეგი არ შეიცვლებოდა და დეტალურად აუხსნა საქმის გარემოებები. ამის შემდეგ დ. ლ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა ადვოკატის ქვეყნის დატოვებასთან დაკავშირებით. ადვოკატმა პ. ნ.-მ საქართველოს ტერიტორია 2014 წლის 11 ოქტომბერს დატოვა. ამის შემდეგ ჩატარდა კიდევ სამი სასამართლო სხდომა და სასამართლომ დ. ფ.-ის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. ბრალდებულმა სასჯელის მოხდა დაიწყო ხონის საავადმყოფოში.

3.5 ადვოკატის თქმით, როდესაც იგი დაბრუნდა საქართველოში, მას დაუკავშირდა დ. ლ. და მოითხოვა 1000 (ათასი) ლარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რადგან იგი 5 თვის მანძილზე უწევდა მომსახურებას და დ. ლ.-ს თანხმობით დატოვა საქართველო, მას თანხის დაბრუნების მოვალეობა არ

ჰქონდა. აღნიშნულზე დ. ლ.-მ განაცხადა, რომ თუ ადვოკატი არ დაუბრუნებდა თანხას, მის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართავდა, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ თუ საჭიროდ მიიჩნევდა, მიემართა ნებისმიერი ორგანოსთვის.

3.6 ადვოკატს მიაჩნია, რომ არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის ნორმები, რადგან დ. ლ.-სთან საუბრისა და მისგან თანხმობის მიღების შემდეგ დატოვა საქართველო დროებით.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი პ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი /, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 დ. ლ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 31 მარტს.

4.3 ადვოკატის მიერ სადავო ქმედება განხორციელდა 2014-2015 წლებში. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

5.1 2017 წლის 17 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ვერ დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირების ფაქტი კლიენტის მომსახურების შეწყვეტის თაობაზე ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან ადვოკატი საზღვარგარეთ გაემგზავრა საკუთარი ინიციატივით და შეწყვიტა კლიენტის მომსახურება, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი - ,,კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი''.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე ჰონორარის თანხის დაბრუნების ნაწილში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ ადვოკატმა ბოლომდე არ შეასრულა კლიენტთან შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ არ დაუბრუნა ჰონორარის თანხის ნაწილი. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი - ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს

გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.'' (08.12.2012

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2014 წლის 01 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2014 წლის 01 მაისის N015 ხელშეკრულება.

6.1.2 ადვოკატმა კლიენტისგან ჰონორარის სახით მიიღო 2000 (ორი ათასი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2014 წლის 01 მაისის N12 საგადასახადო დავალება (საბანკო ამონაწერი).

6.1.3 ადვოკატ პ. ნ.-ს უნდა დაეცვა დ. ლ.-ს ბიძაშვილის დ. ფ.-ის ინტერესები წინასწარი გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

დ. ლ.-ს 2017 წლის 28 მარტის საჩივარი.

2014 წლის 01 მაისის N015 ხელშეკრულება.

ორდერი N015.

6.1.4 ადვოკატ პ. ნ.ბ #015 სამართებრივი მომსახურების ხელშეკრულების თანახმად განახორციელა შემდეგი სახის იურიდიული მოქმედებები: 2014 წლის 13 ივნისს ადვოკატმა პ. ნ.-მ შუამდგომლობით მიმართა ბათუმის რაიონულ პროკურორს ბრალდებული დ. ფ.-ის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნით; 2014 წლის 01 ივლისის ადვოკატმა იშუამდგომლა სასამართლოსთან ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობისა და ექსპერტების დაკითხვის თაობაზე; 2014 წლის 01 ივლისის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრალდებული დ. ფ.-ის ფსიქიკური მდგომარეობასთან დაკავშირებით სტაციონალური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე სახელმწიფოს ხარჯზე; 2014 წლის 21 აგვისტოს ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრალდებული დ. ფ.-ისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე; 2014 წლის 18 აგვისტოს ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და ადვოკატ პ. ნ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ბრალდებული დ. ფ.-ის ფსიქიატრიული შემოწმების თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ პ. ნ.-ს 2014 წლის 13 ივნისის შუამდგომლობა ფქიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ.

ადვოკატ პ. ნ.-ს 2014 წლის 01 ივლისის შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ.

ადვოკატ პ. ნ.-ს 2014 წლის 01 ივლისის შუამდგომლობა სტაციონალური სასამართლო - ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ.

ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართვა სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს'' უფროსს სტაციონალური სასამართლო - ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

2014 წლის 18 აგვისტოს საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება N20011XXXXX.

ადვოკატ პ. ნ.-ს 2014 წლის 21 აგვისტოს შუამდგომლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ.

6.1.5 ადვოკატ პ. ნ.-მ 2014 წლის 10 ოქტომბერს შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბერს ჩანიშნული დ. ფ.-ის სასამართლო სხდომის გადადების მოთხოვნით, იმ მოტივით, რომ ადვოკატი ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში შესული ადვოკატ პ. ნ.-ს 2014 წლის 10 ოქტომბერის განცხადება.

6.1.6 ადვოკატმა პ. ნ.-მ 2014 წლის 11 ოქტომბერს დატოვა საქართველოს ტერიტორია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ პ. ნ.-ს 2017 წლის 28 აპრილის წერილობითი ახსნა-განმარტება.

2017 წლის 22 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომის ოქმი.

6.1.7 2014 წლის 13 ოქტომბერს დ. ფ.-ს დაენიშნა ადვოკატი სახაზინო წესით და სასამართლო სხდომა გადაიდო ახალი ადვოკატის მიერ საქმის გაცნობის მოტივით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინება.

6.1.8 ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 10 დეკემბერს დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი დ. ფ.-ის წინააღმდეგ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 დეკემბრის განაჩენი

6.1.9 ადვოკატი პ. ნ. 2015 წლის 11 ოქტომბერს გამგზავრების შემდეგ ერთ წელიწადში დაბრუნდა საქართველოში.

განხილვის კოლეგია დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

დ. ლ.-ს 2017 წლის 28 მარტის საჩივარი.

ადვოკატ პ. ნ.-ს 2017 წლის 28 აპრილის წერილობითი ახსნა-განმარტება.

6.1.10 ადვოკატ პ. ნ.-ს კლიენტისთვის გამოუმუშევებელი ჰონორარი არ დაუბრუნებია.

განხილვის კოლეგია დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

დ. ლ.-ს 2017 წლის 28 მარტის საჩივარი.

ადვოკატ პ. ნ.-ს 2017 წლის 28 აპრილის წერილობითი ახსნა-განმარტება.

2017 წლის 22 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომის ოქმი.

6.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

6.2.1 ადვოკატმა პ. ნ.-მ არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის და მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების თაობაზე.
განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ პ. ნ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებაზე.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიჩნებს, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

ადვოკატთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის “ა”, “ბ” და “ე” ქვეპუნქტები: ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (“ა”), ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები (“ბ”) და შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები (“ე”).

8.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მოვალეობაა, კლიენტს მისთვის გასაგებ ენაზე დროულად მიაწოდოს მის საქმეზე ინფორმაცია მასთან შეთანხმებული წესით ან ასეთი შეთანხმების არარსებობის დროს კლიენტის მოთხოვნისთანავე. ადვოკატმა სათანადო გულმოდგინეობითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონს და კლიენტის საუკეთესო ინტერესებს.

8.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10 კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში.“

8.4 ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე N092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

8.5 ეთიკის კომისიამ, #034/11 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება კანონის ძალით არ არის სასამართლოსთვის დადგენილი იურიდიული ძალის მქონე და შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულ ფარგლებში შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკისშემცველი კლიენტის ინეტერესებისათვის.“

8.6 საჩივრის ავტორმა ადვოკატის მიმართ გამოხატა პრეტენზია, რომ ადვოკატი 2014 წლის სექტემბრის თვიდან გაუჩინარდა და შეწყვიტა კლიენტთან კომუნიკაცია. განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმე დ. მ.-მ განმარტა, რომ მან და დ. ლ.-მ სასამართლო სხდომაზე შეიტყვეს იმის შესახებ, რომ ადვოკატი არ იყო გამოცხადებული სასამართლო პროცესზე და მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია თუ რა მიზეზით არ გამოცხადდა ადვოკატი. შემდგომში, საჩივრის ავტორმა ადვოკატის ოჯახის წევრებისგან შეიტყო, რომ ადვოკატი იმყოფებოდა საზღვარგარეთ. როდესაც ადვოკატი დაბრუნდა საქართველოში, დ. ფ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე უკვე დამდგარი იყო განაჩენი. ადვოკატის განმარტებით, მან 2014 წლის 11 ოქტომბერს დატოვა საქართველოს ტერიტორია ხოლო მანამდე საჩივრის ავტორს აცნობა ამის თაობაზე და მისგან მიიღო თანხმობა. ადვოკატი აცხადებს, რომ საჩივრის ავტორმა მას ჰკითხა: საქმის წარმოებაში პ. ნ. იქნებოდა თუ სხვა ადვოკატი, ამით საქმის შედეგი თუ შეიცვლებოდა; რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ საბოლოო შედეგი არ შეიცვლებოდა და დეტალურად აუხსნა საქმის გარემოებები. ამის შემდეგ დ. ლ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა ადვოკატის მიერ ქვეყნის დატოვებასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, რადგან საჩივრის

ავტორსა და მოპასუხე მხარეს აქვთ განსხვავებული ახსნა-განმარტება წარმოდგენილი ერთ და იმავე ფაქტთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიამ იმსჯელოს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მომჩივანს აწევს მტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ, ისეთ გარემოების დამტკიცებისას, რომელიც მოითხოვს ადვოკატის აქტიურ ქმედებას, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს მოპასუხე მხარეზე, რადგან საჩვრის ავტორი ვერ დაასაბუთებს ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტს. გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს ადვოკატის აქტიურ ქმედებას, მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ადვოკატს. ადვოკატმა პ. ნ.-მ შუამდგომლობით მიმართა საპროცესო კოლეგიას რათა საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატ პ. ნ.-ს გამგზავრებაზე თანხმობის მიცემის ფაქტის დასადასტურებლად კოლეგიას მიეღო ადვოკატ ნუგზარ გრძელიძის განმარტება. საპროცესო კოლეგიამ ხუთ დღიანი ვადა მისცა ადვოკატს მოწმეთა განმარტებების წარმოსადგენად. სადაო საკითხის გარკვევის მიზნით ეთიკის კომისიამ ვადის გასვლის შემდეგ დამატებით მიმართა შეკითხვით ადვოკატ პ. ნ.-ს და დამატებითი ვადა განუსაზღვრა მოწმეთა განმარტებების წარმოსადგენად. კომისიის წერილი ადვოკატს ჩაბარდა, თუმცა არ უპასუხია და დაკმაყოფილებული შუამდგომლობის შესაბამისი განმარტებები არ წარმოუდგენია. ადვოკატი არ დასწრებია განხილვის კოლეგიის არცერთ სხდომას, თუმცა მას რეგულარულად ბარდებოდა შეტყობინება სხდომის ჩანიშვნისა და საქმის მიმდინარეობის შესახებ. ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა განმარტებები წარმოედგინა უშუალოდ ეთიკის კომისიაში, ფოსტის ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით განხილვის კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა ადვოკატს თავისი პოზიციის დასადასტურებლად მოწმეთა განმარტება არ წარმოუდგენია და განხილვის კოლეგიასთან არ უთანამშრომლია.

8.7 ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა თავად იმ განცხადების შინაარსზეც, რომელიც კლიენტის დაცვის მიზნით ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ მომზადებული ბოლო დოკუმენტი აღმოჩნდა. ადოკატის მიერ სასამართლოსთვის მიმართულ 2014 წლის 10 ოქტომბრის განცხადებით ადვოკატი ითხოვს 2014 წლის 13 ოქტომბრის სასამართლო სხდომის გადადებას, იმ მოტივით, რომ ვერ შეძლებს სხდომაზე დასწრებას, ხოლო მიზეზი, თუ რატომ ვერ დაესწრებოდა ადვოკატი სასამართლო სხდომას, განცხადებაში არ არის მითითებული.

8.8 შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფაქტს ვერ ადასტურებს, რის გამოც სახეზეა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა”, “ბ”, “ე” ქვეპუნქტების, 6.2. მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.6 მუხლების დარღვევა.

8.9 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლი:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

8.10 კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. ეთიკის

კომისიამ 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N046/11 მიუთითა: ,,ადვოკატებმა პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.“

8.11 ადვოკატმა პ. ნ.-მ საქართველო 2014 წლის 11 ოქტომბერს დატოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დგინდება, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდა და დ. ფ.-ს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი ნ. გ.. 2014 წლის 13 ოქტომბრიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის თარიღის 2014 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით ადვოკატ პ. ნ. აღარ ახორციელებდა კლიენტის ინტერესების დაცვას ბათუმის საქალაქო სასამართლოში. სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ ადვოკატის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვება განპირობებული არ იყო კლიენტის მოთხოვნით ან კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (განხილვის კოლეგია ეყრდნობა საჩივრის ავტორისა და ადვოკატის ახსნა-განმარტებებს). ხანგრძლივი ვადით (თითქმის ერთი წლით) საზღვარგარეთ გამგზავრებით ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზე მაღლა პირადი ინტერესები დააყენა ისე, რომ კლიენტი არ ყოფილა ინფორმირებული, რის გამოც, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა პ. ნ.-მ დაარღვია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

8.12 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლი:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით''.

8.13 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს უფლება აქვს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან უნდა გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და უარის თქმა უნდა განხორციელდეს ისეთ გარემოში, როდესაც კლიენტი წინასწარ არის ინფორმირებული და აქვს შესაძლებლობა და გონივრული დრო იმისათვის, რომ მიმართოს სხვა ადვოკატს ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, საპატიო მიზეზის მითითების გარეშე, ადვოკატმა 2014 წლის 13 ოქტომბერს ჩანიშნული სხდომის გადადების თაობაზე სასამართლოში წარადგინა განცხადება 2014 წლის 10 ოქტომბერს. მომდევნო დღეს, 2014 წლის 11 ოქტომბერს, სასამართლოს მიერ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, ადვოკატმა დატოვა ქვეყნის ფარგლები და გაემგზავრა რუსეთში ხანგრძლივი ვადით, ისე, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა არც კლიენტს და არც სასამართლოს. დ. ლ.-მ 2014 წლის 13 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე შეიტყო, რომ მისმა ადვოკატმა სხდომის გადადების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს, ხოლო მოგვიანებით, ადვოკატის ოჯახთან გასაუბრების შემდეგ შეიტყო, რომ მისი ადვოკატი ხანგრძლივი ვადით გაემგზავრა რუსეთში და ვეღარ დაიცავდა დ. ფ.-ის ინტერესებს. მიუხედავად ადვოკატის უფლებისა, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კლიენტთან წარმომადგენლობა, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ სამართლებრივი მომსახურების

შეწყვეტა ადვოკატის ინიციატივით არ უნდა განხორციელდეს ისეთ ვითარებაში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით, რის გამოც არსებობს საფრთხე იმისა, რომ კლიენტს შეეზღუდოს დაცვის უფლებით სარგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგიამ იმსჯელა იმ საკითხის ირგვლივ, თუ რამდენად იყო ადვოკატის მიერ დაცული "გონივრული ვადა" კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტამდე. გონივრული ვადის შეფასებისას, განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს იმ დროს, რომელიც საკმარისი იქნებოდა კლიენტის მიერ ახალი ადვოკატის მოსაძიებლად და ამ ახალი ადვოკატის მიერ საქმის გასაცნობად. ორივე ფაქტორის გათვალისწინება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ახალი ადვოკატის ჩართულობისა და საქმის გაცნობის მოტივით სხდომის გადადება არ წარმოადგენს მოსამართლის ვალდებულებას, ეს მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილებაა. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ სასამართლომ ამ მოტივით არ გადადოს სხდომა, ყოველთვის არსებობს. აქედან გამომდინარე, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ეს რისკი, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კლიენტის ინტერესებს და შეუზღუდოს მას დაცვის უფლებით სარგებლობა, ადვოკატმა არ უნდა გაწიოს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა განცხადება 2014 წლის 13 ოქტომბერს ჩანიშნული სხდომის გადადების (და არა წარმომადგენლობის შეწყვეტის) თაობაზე შეიტანა სასამართლოში 2014 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო თავად, ამავე წლის 11 ოქტომბერს, სასამართლოს მიერ სხდომის გადადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე დატოვა საქართველოს ტერიტორია. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგიას მიაჩია, რომ სამ დღიანი ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის ინიციატივით სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის დადგენილ გონივრულ ვადად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დგინდება, ადვოკატ პ. ნ.-ს შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ არ დაკმაყოფილდა და დ. ფ.-ს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი ნ. გ.. დ. ლ. არ იყო ინფორმირებული ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ, რომ იგი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდებოდა და კლიენტის ინტერესების დაცვა შეწყვიტა საქართველოდან გამგზავრების გამო. 2014 წლის 13 ოქტომბრიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის თარიღის 2014 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით ადვოკატ პ. ნ. აღარ ახორციელებდა კლიენტის ინტერესების დაცვას ბათუმის საქალაქო სასამართლოში. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს შესაძლოა არ ჰქონია განზრახვა, რომ კლიენტი დაცვის გარეშე დაეტოვებინა, თუმცა, ვინაიდან დ. ლ.-ს ჰქონდა მოლოდინი, რომ ადვოკატი კლიენტს დაიცავდა სასამართო სხდომაზე და 2014 წლის 13 ოქტომბერს ადვოკატის სასამართო სხდომაზე გამოუცხადებლობით კლიენტის ინტერესები დაუცველი დარჩა ისე, რომ დ. ლ. წინასწარ არ ყოფილა ინფორმირებული ამის შესახებ. შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დარღვეულია ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.7. მუხლი.

8.14 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 13 დეკემბრის N047/12 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ: ,,ადვოკატის მიერ კლიენტის საქმის განხილვაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს იმ პირობებში, რომ კლიენტს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით და გონივრული ვადა, რომ ახალი ადვოკატი სათანადოდ გაეცნოს საქმის მასალებს და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა. ამასთან ადვოკატის მიერ ნათლად უნდა იქნას გამოხატული მზაობა, საქმის ყველა მასალა გადასცეს ახალ ადვოკატს, რაც კლიენტის უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობი იქნება".

8.15 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: "კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს

8.16 ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებასთან დაკავშირებით 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილებაში განმარტა, ,,რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმებ აითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას"

8.17 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში".

8.18 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ პ. ნ.-ს შორის იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე 2014 წლის 01 მაისის ხელშეკრულების მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა დ. ფ.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო იმავე თარიღით გაფორმებული N015 ორდერის მიხედვით, ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს საგამოძიებო ეტაპზე და ბათუმის საქალაქო სასამართლოში. საჩივრის ავტორმა ადვოკატს საადვოკატო მომსახურებისთვის გადასცა 2000 (ორი ათასი) ლარი, რაც დასტურდება საქმეში არსებული 2014 წლის 01 მაისის N12 საგადასახადო დავალებით. კლიენტის

ინტერესების დასაცავად ადვოკატმა გარკვეული იურიდიული მოქმედებები განახორციელა: შუამდგომლობით მიმართა ბათუმის პროკურატურას, ასევე მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულის სასამართლო-ფსიქიატრიული და სტაციონალური ექსპერტიზების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად მიღების და ექსპერტების დაკითხვის თაობაზე. 2014 წლის 13 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დატოვების გამო ადვოკატს აღარ დაუცავს კლიენტის ინტერესები ბათუმის საქალაქო სასამართლოში, რის გამოც ადვოკატ პ. ნ.-ს დაცვის ქვეშ მყოფ პირს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა სრულად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა და მიღებული საადვოკატო საზღაურის ნაწილი - 1000 (ათასი) ლარი უნდა დაუბრუნოს, რაზეც ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანამდე ესაუბრა ადვოკატს. ადვოკატის პოზიციით მას არ აქვს თანხის ნაწილის საჩივრის ავტორისთვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, ვინაიდან დ. ფ.-ს 5 თვის განმავლობაში იცავდა და შემდეგ საქართველოს ტერიტორია საჩივრის ავტორის თანხმობით დატოვა.

8.19 განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად განხორციელებულ იურიდიულ მოქმედებებს, თუმცა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადვოკატ-კლიენტის შეთანხმება ბოლომდე ვერ შესრულდა, რადგან ადვოკატმა პ. ნ.-მ ბოლომდე არ დაიცვა კლიენტის ინტერესები ბათუმის საქალაქო სასამართლოში. საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საზღაური არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, რადგან ადვოკატმა არ განახორციელა მომსახურება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც საჩივრის ავტორთან შეთანხმება ითვალისწინებდა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატს წარმოეშვა საქმის მასალების, ფულადი სახსრებისა და გამოუმუშევებელი ჰონორარის დ. ლ.-სათვის დაბრუნების ვალდებულება, რაც ადვოკატს არ შეუსრულებია. შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.15 მუხლი.

8.20 საჩივრის ავტორის მეორე მოთხოვნასთან (გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებასთან) დაკავშირებით, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე უარს აცხადებს აღნიშნულ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნის არსებითად განხილვაზე. მხარეს განემარტოს, რომ უფლება აქვს თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

8.21 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიერ დაირღვა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა", "ბ", "ე" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, მე-7 და მე-15 ნაწილები, რის გამოც ადვოკატი ექვემდებარება დისციპლინირება.

8.22 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.23 განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და გარემოება, რომ ადვოკატმა პ. ნ.-მ ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან მორიგებაზე და მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

8.24 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლიური სახდელის ფორმა - გაფრთხილება.

8.25 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

8.26 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

8.27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება''.

8.28 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, კერძოდ 2016 წლის 16 სექტემბრის N038/16 გადაწყვეტილება. N038/16 დისციპლინური საქმის ფაქტობრივი გარემოებები ემთხვევა განსახილველი საქმის ფაქტობრვ გარემოებებს. აღნიშნულ საქმესა და განსახილველ დისციპლინურ საქმეს შორის კავშირი სახეზეა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა თუმცა ჰონორარი სრული ოდენობით მიიღო და ურთიერთობის შეწყვეტისას ჰონორარის ნაწილი კლიენტისთვის არ დაუბრუნებია.

8.29 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ პ. ნ.-ს განზრახ არ მიუყენებია ზიანი ადვოკატის პროფესიისათვის, ადვოკატი პატივს სცემს პროფესიულ ღირებულებებს, ამასთან, გადაწყვეტილების გამოტნის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატ პ. ნ.-სათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი.

8.30 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა", "ბ", "ე" ქვეპუნქტებით, მე–6 მუხლის მე-2 ნაწილით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, მე-8 მუხლის მე-6, მე-7 და მე-15 ნაწილებით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-9 მუხლის "ა" ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N026/17 ადვოკატ პ. ნ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ პ. ნ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/